№ 172 19 აგვისტო, ოთხშაბათი. 1866—1881 19 აგვისტო, ოთხშაბათი. № 172.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში „დროებისა“ „ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
| --- | --- | --- | --- |
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

სავაჭრო სახლი

## „ძმათა კ. და ს. პაპოვებისა“

მოსკოვში

კანტორა იმყოფება კუზნეცის ხიდეზედ, კ. ს. პაპოვის სახლებში.

პატივი გვაქვს ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ფირმის ჩაის სავაჭროთ, გავმართეთ საკუთარი მაღაზიები ქვემო-მოყვანილ ქალაქებში:

**ხარკოვში**—პენგროვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში.
**თბილისში**—გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში.
**სებასტოპოლში**—ბოლშაია მარსკაიას ქუჩაზე, ვაჭრის კოგენის სახლში.

როგორც ამ მაღაზიებში, აგრეთვე **პეტერბურღში, ვარშავაში** და **კიევში** ჩვენ მაღაზიებში, ჩაი აწონილია გირვანქებათ, ნახევარ და მეოთხედ გირვანქებათ და გაიგზავნება ყოველგან უმთავრესი მაღაზიიდამ, რომელიც იმყოფება მოსკოვში ტრანსნოსელსკის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. (30—9)

## განახლებული საშუალ-საუკუნოება.

თბილისი, 18 აგვისტოს.

ვიცით, რომ ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ ცრუ-მორწმუნეა; რომ იმას დღემდის სჯერა კუდიანები, ალები, ჭინკები და სხვა ამ გვარები. ისიც ვიცით, რომ ხალხის ძვალსა და რბილში საუკუნოებით გამჯდარი ცრუ-მორწმუნოება ადვილად მოსასპობი და ამოსაფხვრელი არ არის. ამას დრო და ერთგულად განათლების გზაზე სვლა ეჭირება.

მაგრამ ის კი აღარ ვიცოდით, რომ ეს ცრუ-მორწმუნოება იქამდის იყო კიდევ ჩვენს ხალხში, რომ საშუალ-საუკუნოებს და იმის ვითომ-კუდიან კაცებისა და ქალების წვალებასა და ტანჯვას მოგვაგონებდა.

დღეს ჩვენს გაზეთში, „ახალ ამბებში“, იბეჭდება პატარა შენიშნვა იმერეთიდამ, რომლიდამაც ვტყობულობთ ისეთს რასმე, რომელიც ნამდვილ ღვირძლ საშუალ საუკუნოებს მოგვაგონებს თავის ინკვიზიციებითა, დადუღვრა-დადაგვითა. ქუთაისის მახლობლად, სოფ. ბაკისუბანში ერთი ქალი, რომელსაც კუდიანობას აბრალებდნენ, გახურებულის რკინის შამფურით დაუდაღავთ!..

ცრუ-მორწმუნე ხალხმა რომ ამისთანა მხეცობა ჩაიდინოს—მაინცა-და-მაინც ძალიან გასაკვირველი არ არის. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოთ ის გვაკვირვებს, რომ, როგორც კორრესპონდენტი იწერება, ამ საქმეს არავინ არავითარი ყურადღება არ მიაქციაო.

ჩვენ მომხრე არა ვართ იმ პირებისა, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ ხალხის გასწორება პოლიციისა და ადმინისტრაციის საშუალებით შეიძლებაო. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ მთავრობა და სასამართლო ვალდებულია ყოველ ამ გვარ მხეცურ მოქმედებას ყურადღება მიაქციოს. გვაკვირვებს—რატომ ადგილობრივ მამასახლისმა არ აცნობა ეს საქმე თავის უფროს მთავრობას და რატომ ადმინისტრაციამ მოსამართლეს არ შეატყობინა, რომ ადამიანის მწვალებლები სასტიკად დასჯილიყვნენ კანონით?!

ამით, რასაკვირველია, ცრუ-მორწმუნოება არ მოისპობოდა ხალხში. ხალხი ისევ დაჯერებული დარჩებოდა, რომ ჩვენში კუდიანები და ქაჯები არსებობენო; მაგრამ ერთი-ორი მაგალითი დასჯისა ცოტათი მაინც დააფიქრებდა იმას და, სხვა არა იყოს-რა, იმას მაინც გააგებინებდა, რომ მთავრობას არ სჯერა ამ გვარი რამეები და კანონი სჯის ამ გვარ საქმის ჩადენისათვის.

## იმერეთის სამღვდელოების კრება

ამ თვის 23, 24 და 25-ს იმერეთის სამღვდელოების კრებას ბევრი საგანი აქვს დანიშნული განსახილველად.

იმ ბევრ საგნებში ერთმა უფრო მიიქცია ჩემი ყურადღება და უნდა მიიქციოს მთელი იმერეთის სამღვდელოების მიერ აღრჩეულთ დეპუტატების ყურადღებაც: ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსება.

მე-16 კრების იმერეთის სამღვდელოების დეპ. თხოვნისა-მებრ უწმინდესის სინოდისადმი, ეს საქმე დღეს უნდა მოვიდეს სისრულეში; ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი ცირკულიარებით სწერს ბლაღოჩინებს სამღვდელოების გამოსაცხადებელად და თან საკუთარს ქადაგებას ჰგზავნის ცირკულიარებთან, რომლითაც ამხნევებს იმერეთის სამღვდელოებას.

უწმინდესი სინოდი ითხოვს, თუ წყაროებს აღმოაჩენს სამღვდელოება იმერეთის ეპარხიისა, რომ შეეძლოს მას სემინარიის გახსნისა.

იმერეთის სამღვდელოება, როგორც წინეთ ამისა ეწერა „დროებაში“,

---

## «დროების» ფელტონი, 19 აგვისტ.

### ქიზიყური ამბები

(აქა-იქა.)

ბევრჯელ ამიღია კალამი ხელში და მიწყვია წერა სხვა-და-სხვა რამეებზედ, მაგრამ, როდესაც მოუგონია და ეშმაკივით თვალ წინ სტოლზედ წამოკუნტებულა ის აზრი, რომ ამ დაწერით შენ ერთის მხრით მტრებს გაიჩენ, რომელნიც დაგიწყებენ დევნას და მოგისწრაფებენ სიცოცხლეს, და მეორის მხრით დაწერილი ესე შეიქნება, ათას ნაირი მანქანების ძალით, „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“, მაშინ მოშვლია ბრაზები, დამიხეთქებია კალამი ქაღალდზედ, ამდგარვარ, გამივლია, გამომივლია ოთახში, გიჟი მოზვერივით გავვარდნილვარ სახლიდგან გარეთ და მირბენია ქუჩებში, სანამ არ დავმშვიდებულ-ვარ

მაგრამ ეხლა „საწყაული ალიესო“ და აღარ შემიძლიან დავიტიო გულში ბოღმა. მცირე-რამ მაგალითს მოგახსენებთ ამაზედ, თუ ყურს მათხოვებთ:

იყვნენ ორი ძმანი, რომელთაგან ერთი ცოლ-შვილიანი და ერთი უცოლო; ცოლ-შვილიანი მუდამ შინ იჯდა და განაგებდა ოჯახსა, ხოლო უცოლო ჰპატრონობდა გარეშე საქმეებსა და მამულებსა. ამათ ჰყვანდათ, სხვათა შორის, ერთი მოსამსახურე. როდესაც ეს მოსამსახურე ნახავდა გარეთ სადმე მამულში უცოლო ძმას, ეუბნებოდა:

— რისთვის იკლავ აქ თავს მშიერი და მწყურვალი, ვისთვის იტანჯები, შე საწყალო, ცოლი არა გყავს და შვილი, აგერ შენი ძმა არ არის, რომ დილა საღამოს ჩაი არ აკლია და არის, ერთს განცხრომაში!

როდესაც ნახავდა ცოლშვილიანსა, ეტყოდა:

— შენ აქ მოჭირებაში ხარ შენის ცოლშვილითა და შენი ძმა კი ყოველ დღე ნადიმობს და შეექცევა...

ამისთანა ამბავის მიტან-მოტანამ რომ მოაბეზრა ორივე ძმანი, უთხრეს მოსამსახურეს საყვედური და აუკრძალეს ამ ნაირი ლაპარაკი, მოსამსახურემ მოახსენა:

— ბატონებო! ხომ იცით წვრილშვილის პატრონი ვარ, რაღა სდგებით ჩემს და ჩემის ცოლშვილის ცოდვაში, თუ ასე არ მოვიქცევი, სამს დღეზედ ბოღმა გამხეთქავს!

ჩემი საქმეც ახლა ასე არის; მხოლოდ განსხვავება მე და ამ მოსამსახურეს შორის იმაში მდგომარეობს, რომ მე ვილაპარაკებ ცუდის მიჩვეულების გამო კი არა, კეთილის განზრახვით, სიცრუეს კი არა, ჭეშმარიტებას.

—

დავიწყოთ. „დროების“ № 141-ში იყო, სხვათა შორის, მოხსენებული, რომ ტყის-მცველმა ბ-მა პ—მა, სიღნაღის მაზრის ზოგიერთს სოფლებში დაიარა და სადაც ახალი გამოტანილი ხე-ტყე ნახა, ასწერა და მამასახლისის პირით გარდასცა ხსენებული ხე-ტყის პატრონთა, რომ შინაურულად მოურიგდნენ მას. ეს მორიგება, როგორც დამარწმუნეს მე, გათავდა მით, რომ მამასახლისმა გადაახდევინა ხუთ-ხუთი მანეთი იმ ოჯახსა, სადაც გამოტანილი ხე-ტყე ნახა ბ-მა პრ—ვმა და ჩააბარა მას „ზეურქა ანგელოზს“—ასე ეძახიან აქ უფროსს ტყის, მომვლელს (აბეშჩიკს). ნეტავი ვიცოდე—რომელ დავთარში შეიტანა ბ-მა პ—ვმა ეს ურიგ-მარიგოდ გადახდევინებული ფული? მრავალნი მარწმუნებენ, რომ ეს „ზეურქა ანგელოზი“ ყოველ წელიწადს თუ არა, ორ წელიწადში ერთხელ მაინც უეჭველად მოივლის აქაურს კალოებს და ბევრისაგან იქნება ხოლმე „პატივცემული“ პურითა, ქერითა, თივითა, ბზითა და ბოლოს ნაშოვრით გატენილ ურმებს სიხარულით გაისტუმრებს სადაცა ჯერ-არს. (მაგრამ არ არის გასამტყუნარი ამაში არც თვითონ ის, რადგანაც მცირე ჯამაგირი აქვს, და არც ვინც პატივსა სცემს, ამისთვის რომ გამოსადეგარი კაცია და მისი თავი ხშირად დასჭირდებათ.)

იქნება მკითხველს გაუელვოს თავში იმ ფიქრმა, რომ რა დავი აქვს ამ კაცს და რა აწუხებს, რომ „ზეურქა ანგელოზს“ „პატივი“ სცეს ვინმე და ბ. პ—ვმა ხუთ-ხუთი მანეთი გადაახდევინოს გლეხებსაო, ამისთვის ხომ არაფერი წაურთმევიათო. თანახმა არ ვიქნები ამისთანა ფიქრებზედ, ამისათვის რომ, ყოველი ურიგ-მარიგო ფულის გადახდევინება და ამ ნაირად „პატივის“ ცემა და საზოგადოთ მოხელეს უკუღმართი ქცევა ისეთ ნაირად იქნევს შოლტს, რომ, თუმცა პირ-და-პირ სხვასა ხვდება, მაგრამ ტკივილს ყველანი ძალიანა ვგრძნობთ, ჩემო მკითხველო! პირველად რომ გლეხები, თუ ვინც არიან უკანონოდ დაჩაგრულნი, ისე არის ჩვენი ცხოვრების ჩარხი მომართული, რომ ოდესმე ჩვენი კისრიდგან ამოიღებენ ყო-

დღეს ძრიელ დაცემული და ღარიბია და ამათ ესრეთ დაცემულ და გაჭირვებულ მდგომარეობის განხილვაში ყოვლად-სამღვდელოც უნდა შევიდეს და წყაროები თვით უნდა გამოსძებნოს, რომელიც, საეჭვო არ არის, ადვილათ გამოიძებნება მთელს იმერეთის, სამეგრელოს და გურიის ეპარხიებში, რომელთათვის უნდა დაარსდეს სემინარია...

მას შემდეგ კარგი ხანია, რაც იმერეთის საეკკლესიო მამულები ხაზინის უწყებში გარდავიდა და ხაზინა ყოველ წლივ 30,000 მანეთს აძლევს სამღვდელოებას; აქედგან 20,000 მანეთი იხარჯება სხვა-და-სხვა გასავალზედ და 10,000 მან. რჩება; ამისთანავე განკარგულებაც სამეგრელოს საეკკლესიო მამულსაც მოუვიდა და ხაზინა, როგორც გავიგე, 20,000 მანეთს აძლევს. ამ ფულიდამ რა იხარჯება და რა რჩება—ეს მე არ ვიცი.

იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებას, მეკომურობით, თითო კომლზედ ხდება მღვდელს 20 კაპ. და სანთლის მოგებიდამ 5 კაპ. (ქუთ. ს. ს. სასწავლებლის შესანახათ), სულ კომლზედ 25 კაპ. აქედგან შემოდის სულ 17,000 მან. წლიურათ. როგორ იხარჯება, სად მიდის ეს ფული? ამის გამოსაკვლევათ, მახსოვს, ორჯერ იყო დანიშნული კამისია, მაგრამ არა გამოვიდა-რა. ამ ფულს წლიურათ, როგორც ვიცი, კიდევ რჩება 4,000 მან. მაინც; ესეც დაემატოს სემინარიის შენახვას; ამას მიუმატოთ, თუ საჭირო იქნეს, გარდა იმ 5 კაპ. რომელსაც სანთლის მოგებიდამ იხდის სამღვდელოება, კიდევ სანთლის მოგებიდამ მეკომურობით 5 კაპ., შეიქნება არა ნაკლებ 2,000 მანეთისა. ამას გარდა ერთბაშათ ამ წლის იმერეთის სამღვდელოებას ჯამაგირი მოუვიდათ, დატოვონ, რადგანაც თითო მღვდელს ქუთაისში ჯამაგირის ძლევის დროს ხარჯათაც არ ეყოფა, თავისი ალებული ჯამაგირი, როდესაც მის მისაღებათ ჩავლენ ქალაქში. გარდა ამისა დეპუტატე მა უნდა მოითხოვონ, თუ რომელ მონასტერს სასწავლებლისთვის რა შემოაქვს სანთლის მოგებიდამ შემოატანინონ ქვეყნის განათლებისათვის. ამას კანონიც ითხოვს. სანთლის მოგება თითო მონასტერს თითქმის და ზოგიერთებს მაინც 200, 250 და 300 მან. ნაკლები არ ექმნება წლიურათ.

რა წყაროები უნდა გამოსძებნონ მიჩვენდმეტე იმერეთის სამღვდელოების კრების დეპუტატიებმა და რა უნდა ექმნესთ სახეში?!

1) იმერეთის საეკლესიო მამულების შემოსავალი ხაზინიდამ. რა შემოდის წლიურათ? რა იხარჯება? და რა რჩება?

2) რა დროიდამ რჩება ფულები მოსახმარებელად ქუთ. სასულიერო სემინარიისა? და რაოდენი არის ეხლა თვალად?...

3) სამეგრელოს ეკკ მამულებიდამ რა შემოდის წლიურად, რა იხარჯება, და რა რჩება?

4) სამღვდელოებას, მეკომურობის ანგარიშით, რა შეაქვს ქუთ. სასულიერო სასწავლებლის შესანახათ წლიურად? რამდენი იხარჯება წელიწადში, რაოდენი რჩება და სად არის ეხლა ეს დარჩენილი ფულები?

5) თუ კიდევ დაუმატებს სამღვდელოება, იმას გარდა, რასაც ეხლა სანთლის მოგებიდამ სდებენ სასწავლებლის შესანახათ, სემინარიისთვისაც, ისიც ცალკე იანგარიშონ.

6) ეხლანდელი, ე. ი. 1881 წლის ჯამაგირი 20,000 მან. დასტოვონ და შესწირონ სემინარიისათვის.

და 7) სემინარიისთვის სახლის აშენებას რა მოუნდება,—ის შეიტყონ. იმედია, ამდენი ხნის მოგროვილი ფული უშველის ამაში სამღვდელოებას და ვგონებ შენობას კიდეც მორჩეს და ბოლოს შეიტყონ ის, თუ, ეხლანდელი ხარჯით, რა სჭირდება (სასულიერო სემინარიას) შესანახათ წლიურათ?

რაც შესდგება ამას შეიტყობენ და, თუ ვინიცობაა კიდევ რამე საჭირო იქმნება, იმ შემთხვევაში მომავალი ჯამაგირებიდამ სამღვდელოებამაც და მათმა დეპუტატებმაც ასე მოახერხონ, რომ თავნ ფულს ამ 20,000 მანეთს მეტს კი ნუ ჩატოვებენ, არამედ აძლიონ სარგებელი: ვსთქვათ მე მღვდელი ვარ, წელიწადში მაქვს დანიშნული ათი თუმანი. ამ ათი თუმნის ერთბაშათ ჩატოვებას და დღიური ლუკმის მოკლებას ის იმჯობინება, რომ წელიწადში ამ ათი თუმნიდამ 5 მანეთს სემინარიის სასარგებლოთ გადავდებ და 5 მანეთსაც ჩემთვის დავიტოვებ.

ამ სარგებლის მიცემას იმ შემთხვევისათვის ვსწერ, თუ საჭიროება მოითხოვს და არა სხვა შემთხვევისათვის.

თუ ყველა ზემოხსენებულის მოხლების აღსახსნელად კრებას დრო არ ექმნება, ვერ გამოიანგარიშონ, ნურც აუჩქარდებიან ამ დიდ საქმეს: დანიშნონ კამისია კეთილ სამღვდელო პირებისაგან და იმათ შეკრიბონ ცნობები და თუ უსასყიდლოთ არ დადგეს კამისია, ცოტაოდენი სასყიდელიც დაუნიშნონ, ვინაიდგან დიდი საქმე ექმნებათ გამოსაკვლევი.

სხვათა შორის მ. მ. დეპუტატებს სახეში ისიც უნდა ჰქონდესთ და უნდა წარმოსთქვან კრებაში, რომ სემინარიის დაარსებას ცდილობენ და წყაროებსაც ეძებენ, რომელიც ძვირფასია ამ ჩვენი დასავლეთის საქართველოსათვის, მაგრამ სასულიერო სასწავლებელი, რომელიც გახსნილი აქვთ დღეს, ამის საქმე რომ ცუდათ მიდის და ათასი უზნეური ბოროტება ხდება აქ, ამას რატომ რიგიანი ყურადღება არ უნდა მიაქციონ? განსვენებულის ზედამხედველის პალანდარაშვილის შემდეგ ამ სასწავლებელს რიგიანი ზედამხედველი არ ჰყოლია . . . . . . . . . .
. . . . . .

რასაკვირველია, რომ ამ ჩვენ სემინარიის დაარსების დროს სამეგრელოსა და გურიის ეპარხიაც სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ისინიც შემოგვეწევიან, რადგან ეს საერთო საქმეა. ()

მ. ს. ჯ.

## ახალი ამბები.

აი ეს ადამიანის წვალების ამბავი და მხეცური მოქმედება სოფ. ბაკისუბნელ მცხოვრებლებისა, რომელიც

---

ველს უკანონოდ გადახდევინებულს ფულს და ათას ნაირად გადაგვახდევინებენ, მე და შენ, მკითხველო, ყოველს მოხელეს უკულმართობას (ვგონებ, საჭირო არ არის განმარტება), და მერმედ ყველა მოსამსახურე პირთადმი ხალხს ეკარგება ნდობა, ილვიძებს მასში სიყვარულის მაგივრად მათდამი სიძულვარე, როგორც მცარცველთადმი, და ამის შემდეგ შენს ყოველს ღვთის-წყალობას ღვთის-რისხვად მიიღებს...

—

ტყის-მცველთა უსამართლო მოქცევა და მათზედ საჩივარი არც პირველია და არც უკანასკნელი იქნება, თუ მთავრობამ რაიმე საშუალება არ იხმარა წინაალმდეგ მათის ბოროტ-მოქმედებისა. ვგონებ, ასაცილებლად ყოველ-გვარ უსიამოვნებისა და ბოროტ-მოქმედებისა უნდა ჩაითვალოს ის საშუალება, რომ მთავრობამ თვითეულს სოფლის საზოგადოებას დაუსაკუთროს უწყებული ნაწილი ტყისა და უთხრას:

„— მოუარე და მოიხმარე ეს ტყე, ამაზედ მეტი შენ სიცოცხლეში აღარ მოგეცემა; თუ კარგათ მოუვლი და ზომიერად მოიხმარებ, ხომ ყოველთვის კარგი ტყე გექნება და აღარ გაგიჭირდება ხე-ტყის და შეშის შოვნა და თუ არ მოუვლი და უზრალოდ წაახდენ, მაშინ უტყეოთ დარჩები, სიცივისაგან და შიმშილისაგან სული ამოგხდება.“

რაც შეეხება გადასახადს, თუ საჭიროა იგი უსაცილოდ, მთავრობამ ყოველს სოფელს გადაჭრით შეაწეროს და სოფელი კიდევ თვითონ, შეძლებისა-და-გვარად, გააწერს და ერთად ფოჩტის ფულთან და სხვა გადასახადთან აჰკრებს და ხაზინაში წარადგენს.

მაშინ აღარც ტყის მცველი მთავრობის მხრივ, აღარც ყაჩაღი „აბეზჩიკები“, აღარც ჩხუბი, აღარც დავიდარაბა და აღარც კაცის-კვლა! ყოველი სოფლის საზოგადოება თვითონ დაადგენს წესს ტყის ხმარებისათვის, დაცვისათვის და გაუმჯობესობისათვის და გარწმუნებთ, ისე მოეკიდებიან ტყეს, როგორც თავის საკუთრებას, და ისე გაუფრთხილდებიან, როგორც დამწვარს თითს; ის დაუდევარი და ჯაბრული ტყის გაჩეხა და გაოხრება აღარ იქნება მაშინ, როგორც არის ეხლა!

—

ამ წინაზედ სოფ. ქვემო-მაჩხაანში ერთმა ექიმმა დედაკაცმა ქვეშსაგებში ამოაღრჩო ერთი ახალგაზდა მღვდელი. აი დაწვრილებით ამბავი:

მღვდელი ზაქარია შარაშელი, ს. ქვემო-მაჩხაანში მცხოვრებელი, იყო განწესებული მღვდლად დუშეთის მაზრაში, სადღაც გადავარდნილ ალაკას. გამხდარა იქ ავათ მუხლში ქარებით და წამოსულა თავის სოფელში მოსარჩენად. ქიზიყში გახშირებულა ექიმი დედაკაცებისაგან რაღაც „ბოლება“ წინააღმდეგ ქარებისა. დაუბარებიათ ექიმი დედაკაცი მღვდლის ოჯახში მყოფთა (მღვდელს ჰყავნან ძმები, გლეხი-კაცები, და ისეთი მდიდარი ოჯახი არის, რომ ორი ათასი თუმნის შეძლება იქნება და ამ მდიდარს ოჯახს განაგებს ერთი ძმათაგანი უწიგნო კაცი, მაგრამ ხარბი და ფულის მოყვარული) და საქმის გარემოება უამბნიათ ამ დედაკაცისათვის. ამასაც მღვდლისათვის დაულევინებია კარგათ ღვინო იმ ჰაზრით, რომ, წამლობას გაუძლოსო, ჩაუწვენია ქვეშ-საგებში, დალუქებული ნახშირი დაუყრია კეცზედ და ზედ მოუყრია თვით „საბოლებელი“ წამალი და საბანს ქვეშ შეუდგამს; დაუხურავს კიდევ რამდენიმე საბანი, გარეშემო საბნის პირებზედ დაუსხამს ხალხი რომ ბოლი და ბუღი არ გამოვიდესო!.. მღვდელი მალე შეწუხებულა, დაუძახრია: „თქვენი ჭირიმე, ამიშვით, ნუ მომკლავთ, სული მიგუბდება, შეიბრალეთ ჩემი ცოლ-შვილი!“ მაგრამ იმის ხვეწნა და ვედრება არავის არ შეუსმენია იმ ფიქრით, რომ წამალმა, როცა იწყობს იგი მოქმედობას, ასეთი შეწუხება იცისო, და ამათობაში კაცს ანთებისაგან უცებ ყინწიკი მოსწყვეტია... თუმცა კიდევ შეიძლებოდა თურმე შველა, მობრუნება, მაგრამ მცოდნე და მოხერხებული პირი არავინ შესწრებია იმ დროს და ამ ნაირად მომკვდარა მღვდელი და დაუმარხავთ.

ერთს ორსულს „პატარძალს“ *) კიდენ ფეხი თურმე გადაუბრუნდა, წაიქცა და ყრმა მუცელში გაუბრუნდა, რომლის გამო შეუწუხდა გული და პატრონებმა სიკვდილად მიიღეს ეს გარემოება, შეიტანეს შინ, გაჭიმეს ტახტზედ, დაუკრიფეს გულზედ ხელები დაუხუჭეს თვალები, მოჰყვნენ ტირილს და დამარხვის თადარიგსაც შეუდგებოდნენ თურმე, თუ ერთი გამოცდილი დედა-კაცი არ მისულიყო იქ იმ დროს და არ ეთქვა, რომ მიცვალებულს ასეთი ფერი არ ექნებაო თავის დღეში, რას ამბობთ, რა გატირებთო! ეს დედა-კაცი, მართლა, მიჰვარდება გაჭიმულ პატარძალს, დასჭყივლებს, მოუსრესს ყურებს, უჩქმეტს ცხვირზედ, შეასხამს ცივ წყალს და ამ ნაირად მოაბრუნებს

*) ქიზიყში, გათხოვილს ახალ-გაზდა ქალს ორი-სამი წლის განმავლობაში სულ პატარძალს ეძახიან.

დღევანდელ წინა სტატიაში არის მოხსენებული:

„ამ აგვისტოს 4-ს ქუთაისის მაზრის სოფ. ბაკისუბანში მოხდა საყურადღებო ამბავი, რომელსაც, იმედია, თქვენს გაზეთში გამოამჟღავნებთ. აი საქმე რაშია:

„ზემოხსენებულს სოფელში ცხოვრებს ორი ძმა შარაშიძეები, ნიკო და მათე. მათეს ცოლს შარშან დაუგდეს ხმა, ვითომც ის კუდიანი და მავნებელი დედა-კაცი იყოს, ვითომც იმას შეეძლოს ადამიანის „გალალვა“ (თვალის-კვრა) და სიკვდილი. მას აქეთ ამ ვითომ კუდიან ქალზე ხშირად იყო ლაპარაკი სოფელში; მაგრამ ცუდი არა უქნიათ-რა იმისთვის. ახლა კი ერთმა უბრალო გარემოებამ როგორღაც აალელვა ხალხი და მხეცობა ჩაადენინა:

„ამ დედა-კაცის მაზლის ნ. შარაშიძის ქალს ჰქონდა რამოდენიმე ალაბი მიტკალი, რომელიც თაგვს დაეჭრა. ეს მიტკლის დაჭრა ამ დედა-კაცს დააბრალეს. ნ. შარაშიძემ მოიწვია თავის მეზობლები, შემოესივნენ საბრალო დედა-კაცის სახლს, ერთმა ამათგანმა ამოიღო ხანჯალი, გულზედ მიაჭირა დედა-კაცსა და უთხრა: „—გატყდი, რომ კუდიანი ხარ?“ საწყალს მეტი რა ღონე ჰქონდა, სთქვა, ოღონდ ნუ მომკლავთ, რაც გერჩიოთ, ისა ვარო.

„იმ წამსვე გაახურეს რკინის შამფური და ჯვარადინად დაუდაღეს ხელები და ფეხები... საშინელს წვალებაში იყო ეხლა, რადგან დადაღული ხელი გასივდა.

„ამ საქმეს არავითარი ყურადღება არ მიაქცია არც აქაური მამასახლისმა და არც სხვა ვინმემ“.

***

11 აგვისტოს ჩვენი სააღგილ-მამულო ბანკის გირაოს ფურცლები პეტერბურღის ბირჟაზე ფასობდა:

ტფილისისა, 18 წლ. და 7 თვის—92 მან. 50 კაპ., 27 წლ. 6 თვის—91 მან. და 50 კაპ., 43 წლ. და 6 თვის—91 მან. და 50 კაპ.

ქუთაისისა, 18 წლისა და 7 თვის—92 მან. და 50 კაპ. და 43 წლ. და 6 თვის—91 მან. და 50 კაპ. მაგრამ გაყიდვით კი ხსენებულ ბანკების გირაოს ფურცლები არ გაყიდულა.

***

მოგეხსენებათ, რომ კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს უფროსი ღენ.-ლეიტ. სტაროსელსკი იყო ამას წინათ სოხუმის მაზრისაკენ შავი ზღვის ნაპირა ადგილების დასახედავად და შესატყობად — თუ რა მდგომარეობაშია ეს ადგილები და რა გვარად შეიძლება დასახლება და წარმატება ამ ქვეყნისა.

ერთ თვეზე მეტი დაჰყო ღენ. სტაროსელსკიმ ამ ზემოხსენებულ ადგილებში და, როცა დაბრუნდა ტფილისში, დიდ მთავარს კავკასიის მთავარ მმართებელს მიართვა თავის დაწერილი მოხსენება (დოკლადი), რომელშიაც სხვათა შორის ამბობს, რომ ამ მხარის წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა რიგიანი გზების გაყვანა, სკოლების გამართვა და ცარიელ ადგილებზე ისევ აფხაზებისა, მეგრელებისა და საზოგადოდ ადგილობრივ ხალხის დასახლებაო, რადგან რუსები აქ, განსხვავებულ ბუნების, ჰავის გამო, ვერ სძლებენო.

დიდი ხანია, ჩვენც ამ აზრისა ვიყავით და ახლაც ვართ: ძით უფრო სასიამოვნოა, რომ ღენ.-სტაროსელსკიც ამ ბეჯითს და მიუდგომელ დასკვნამდინ მისულა.

ამ მოკლე ხანში უფრო დაწვრილებით გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს ღენ. სტაროსელსკის ჩინებულ და საფუძვლიან მოხსენებასა და აზრს.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ოზურგეთი 12 აგვისტოს. გაზეთ „დროების“ მე-157 №-ში წავიკითხე კორრესპონდენცია ოზურგეთიდგან, რომელშიაც იყო მოყვანილი თუ როგორ და რის გამო იელისის ოცს ოზურგეთის ადგილობრივი კამანდის სალდათები უცებ გახდენ ავათ. კორრესპონდენტის სიტყვები ყველა მართალია; მაგრამ სამწუხაროთ მას ვერ დაუწერია სრულათ რაც ამბები არის შემდგარი ამ ჟამათ ამ საქმეზედ.

რასაკვირველია, როცა თითქმის მთელი კამანდა ერთბაშათ გახდა ავათ, მაშინვე ოზურგეთიდგან დაჰკრეს ტელეგრამმა ტბილისში, რომ გამოუგზავნონ დოქტორები მისაშველებლათ ავათ მყოფებისა, რადგან ჩვენს ქალაქში ერთის მეტი დოქტორი არ არის.

მთავრობამ საჩქაროთ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ამ გარემოებას და იელისის ოცდა ოთხს ქუთაისიდგან ჩამოვიდა სამხედრო დოქტორი, რომელმაც საჩქაროთ დაიწყო ძიება და კიდევაც აღმოაჩინა, თუ რითი გახდნენ ამდენი კაცი ავათ, სამი თუ ოთხი საათის განმავლობაში, როდესაც მთელი ამა წლის განმავლობაში ავათმყოფების რიცხვი ოზურგეთის საავათმყოფოში არ ვადასცილებია ოთხს.

აღმოჩნდა, რომ, გარდა ქიასფერასი, ავათმყოფობის მიზეზი ყოფილა კიდევ პური: თურმე იმ წინა დღეეში უბრძანებია ბატონ კამანდირს, რომ გამოაცხონ ომიანობის დროს მორჩენილი პური, რომელიც დამპალი ყოფილა, რომ კაცს კი არა არასფერ ცხოველს იმის მონელება არ შეეძლო. რომ ნამდვილათ საჭმელისაგან იყვნენ სალდათები ავათ: ამას კარგათ მიმხვდარა ჩვენი ქალაქის დოქტორიც ბ. დავიდიანცი დ., როცა ქუთაისიდგან მოვიდა დოქტორი, უთხრა ყოველივე გარემოება.

ქუთაისელმა დოქტორმა მოატანინა სალდათების პური და აჭამა ღორს, გამოსაცდელათ, მართლა თუ პურის ბრალიაო. რამდენიმე საათის შემდეგ ისე მოაქცია ღორი, როგორც ავათმყოფი სალდათები, ე. ი. აღებინა პირიდგან და კიდევაც საშინლათ გახსნა მუცელში. ამბობენ ამაზედ შეშინდა ბ. კამანდირი და სთხოვა ბ. ქუთაისის დოქტორს, რომ წარადგინოს მიზეზათ იმ ავათმყოფობისა ოზურგეთის ცუდი ჰაერი და არა ნამდვილი მიზეზი. დაეთანხმა ბატონი ქუთაისელი დოქტორი და მოინდომა შესრულება თხოვნისა, მაგრამ წინააღმდეგათ ამ განზრახვისა გაჩნდა ჩვენი ქალაქის დოქტორი, შეიქმნა ექიმებს შორის დიდი ცილობა და

დასამარხად გამზადებულს ქალს, რომელიც ამის შემდეგ ნახეს ექიმმა და ბებიამ და ახლა სრულიად კარგათ არის.

—

ეს ორი მაგალითი სულ ახალია და მოხდა ერთს სოფელში. ვინ იცის რამდენი ამისთანა შემთხვევა ხდება სხვა სოფლებშიაც და ისე გაუვლია, რომ ვერავის ვერ შეუნიშნავს! ვინ იცის რამდენი ცოცხალი ადამიანი დამარხულა ამგვარის უმეცრებისა და უპატრონობის წყალობით!

ვანა ძვირად დაუჯდება ორს-სამს სოფელს ფერშლის ყოლა? სრულიადაც არა: სამოც თუმნათ კარგს ფერშალს დაიქირავებენ და კომლზედ წელიწადში სამ-სამი აბაზიც არ შეხვდებათ (ქიზიყში ძალიან დიდი სოფლებია, თვითო სოფელში, ზოგიერთების გარდა, ოთხას-ხუთასი კომლი). ხალხი უმეცარია: მას ნამდვილი ექიმობის ძალა არ ესმის და არც მიჩვეულია, იგი უჯერებს მხოლოდ მკითხავებს და მატყუარ ექიმ დედა-კაცებს და ამისათვის ბევრნი შეიქნებიან ხოლმე მსხვერპლად უბრალო შემთხვევისა. ხალხს უნდა ჩავონება, თითქმის ძალდატანებაც, რომ იყოლიონ ფერშალი და საჭირო დროს მიჰმართონ მას.

—

იტყვიან და სათქმელიც არის: ათს წელიწადზე მეტია, რაც სოფლებში სკოლები გამართეს და რა დაემართათ აქამდისინ იმისანი უბრალო ჰაზრი ვერ გაავრცელეს მასწავლებლებმა შეგირდებში და სოფლის საზოგადოებაში, რომ ავათმყოფს პატრონობა და წამლობა უნდა ნამდვილი ექიმისაგან და ადვილად არ უნდა ენდვნენ მატყუარა სოფლელ ექიმებსა. მაგრამ... მაგარი ის არის, რომ იმნაირად მოწყობილი სოფლის სკოლები, როგორიც ეხლა ჩვენა გვაქვს, ხალხის ცხოვრებაში ადვილად და კარგს ვერას შეიტანენ და მეტადრე თუ იმისთანა მასწავლებელნიც ხშირად არიან ჩვენ სოფლის სკოლებში, როგორსაც ამბობენ ს. ქვემო-მაჩხაანის მასწავლებელს, რომელსაც კვირაში თურმე სამი გაკვეთილი აქვს და გაკვეთილი თვითო საათიც არა გრძელდება და რომელიც მთელი წლის განმავლობაში ერთხელ არ ეჩვენება სოფლის ყრილობას სალაყბოზედ, ხოლო ბაზუსის თაყვანის-ცემის ჟამს უპირველესი ადგილი უპყრია ქორწილებში, ნათლობაში, ქელეხში და სხვ. ამისთანა მასწავლებლების ხელში, რასაკვირველია, არა თუ ათი წლის, ასის წლის განმავლობაშიაც ჩვენი სკოლები თავის მასწავლებლები თურთ ისე შეუნიშნავად განატარებენ თავიანთ სიცოცხლეს, რომ არც ღმერთს არგებენ და არც ეშმაკს.

აქამდისინაც ხომ ბევრნი იყვნენ ქიზიყში მკითხავები და ახლა ისე გამრავლებულან, რომ, ამბობენ, ათს კომლზედ თვითო მკითხავი არისო.

სოფლის სკოლის მასწავლებელთა საქმეა ამათი წინ-აღდგომა და გაცრუება. მღვდლებიც არიან მოვალენი, რომ ხალხს ჩააგონონ, არ მიჰმართოს მკითხავს და არაფერი არა გაუგონოს-რა. მაგრამ მღვდლები არა მალევენ და ცხადათ ამაზედ აი რას ამბობენ: „—რა გიჟები ვიქნებით, რომ ხალხს მკითხავთან მისვლა და მკითხავს მკითხაობა აუკრძალოთ მაშინ, როდესაც მათგან გვიდგია სული და უიმათოთ შიმშილით ამოვსწყდებოდითო“.

ამ ათი დღის წინ სიღნაღის მაზრაში, ხირსაზედ, ვენახში, ორს ხნოთ დარბაისელ მღვდელს წყლის თაობაზედ მოსვლიათ ისეთი განხეთქილება ერთმანეთში, რომ მათი ხმა ქუხილს ემზგავსებოდაო, მათი ლახტის ცემიდგან მთანი ირყეოდნენო და მათმა ნაკურთხმა თავ-პირის ბუნებითმა სამოსელმა ხირსის წყალი შეაყენაო. აბა, ამისთანა მღვდლებს რა გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხზედ და ხალხი რა თვალით დაუწყებს მათ ცქერას!

ამისათვის დაეცა კიდეც ჩვენი ხალხი ზნეობით და განსაკუთრებით ეს ზნეობითი გარყვნილობა მოსდებია მთელს ქიზიყს: როგორ მოიძებნებოდა აქამდისინ სოფლებში ნამუს დაკარგული დიაცი და თუ ვინიცობაა გამოჩნდებოდა სადმე, ხალხი სდევნიდა და აქვავებდა! ეხლა არა მხოლოდ ილაჯ-გაწყვეტილი ვლეხის ცოლები და ნათესავები მისდევენ უნამუსობას, არამედ თვით გაკეთებული ოჯახის ქალ-რძლები არა თაკილობენ ამგვარს რასმე და საკვეხურადაც მიაჩნიათ არშიყობა და საყვარლის ყოლა! სადღაა ეხლა ჩვენში უწინდელური ნდობა, გულწრფელობა, ერთმანეთის სიყვარული და ერთმანეთისათვის თავ-დადება?! მაგიერად ამისა ვრცელდება უნდობლობა, სიმძულვარე, ერთმანეთში შური და მოტყუება!

ამის მიზეზი, გარდა ზოგი-ერთი სხვა მიზეზებისა, უნდა ვეძიოთ სამღვდელოთა ზნეობით დაცემაში.

სიღნაღელი.

31-ს მკათათვეს.

აქამდისინ რით გათავდა ეს საქმე არ ვიცოდით, ეხლა კი გავიგე, რომ ბ. ქუთაისელ დოქტორს თავისი გაუტანია და შეუსრულებია კამანდირის უკანონო თხოვნა. ძლიერ მაკვირვებს ამათი მოქმედება: ამისთანა სალი და უავათმყოფო წელიწადი მე არას დროს არ მინახავს გურიაში და თუ ჰაერის ბრალი იყო ავათმყოფობა, რატომ სხვები არ გახდნენ ავათ? აბა მიჩვენონ: ვინ არის ოზურგეთში ავათ, ან ვინ იყო მაშინ, როდესაც მთელი კამანდა ლამის დაიხოცა? რას ერჩიან საწყალ ცეცხლიდგან გამოხრებულ ოზურგეთს? განა აღარ ეყოფა ზარალი?

უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ჩემ მცირე სტატიას, მისთვის რომ, თუ ამ ექიმების უკანონო დამოწმება დამტკიცდა, ამბობენ, ჯარსაც და სუდსაც სხვა ადგილზედ გადიყვანებენო და არც ვინმე უცხო ქვეყნის კაცი გაივლის ოზურგეთშიო, —მაშინ წარმოიდგინეთ ოზურგეთის მდგომარეობა.—

ჯარდენ გურიელი.

# განცხადებანი


## ზერარდის წიგნის მალაზია
## ქუთაისს

ბულვარის პირ და პირ, სობოროს გვერდით

აცნობებს სასწავლებელთა პატივცემულთ უფროსებს, მასწავლებლებს და საზოგადოებას, რომ მან მიიღო ყოველ გვარი სასწავლო მასალები და სახელმძღვანელოები (რუსული და ქართული) ყველა სასწავლებელთათვის.

მალაზიას აგრეთვე მოუვიდა ბევრნაირი საკითხავი წიგნები, უპირატესად ბელლეტრისტიკური და მრავალი **ნოტები**. ფასები ძლიან ხელ-მისაცემია. (3—1)

---

**თბილისის ქალაქის გამგეობა** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დღეიდამ 20 აგვისტომდის მიღება მსურველთაგან თხოვნა ქალაქის საოსტატო სასწავლებელში ყმაწვილების მისაღებად. ამ გვარი თხოვნას იღებს თვით დირექტორი ამ სასწავლებლის თავის სადგომში ეგზარხის მოედანზე, № 8. ყმაწვილები მიიღება არ ნაკლებ 13½ წლის ეგზამენები დაიწყება 22 აგვისტოდამ ქალალდით თხოვნა საჭირო არ არის, რადგანაც დირექტორს აქვს დამზადებული თხოვნის ბლანკები. (4—3)

---

**ინგლისის მალაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება**: პარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—5)

---

**ლონდონის მალაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებული ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭიკინას გიარები. (100—11)

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის აღმ-დგენი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტყავილის მოსასუფთავებლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—20)

---

**თბილის ქალაქის გამგეობა** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1 სეკტემბრიდამ ქალაქში იხსნება შვიდი პირველ დაწყებითი სასწავლებლები, სადაც სწავლა იქნება, დედა-ენაზედ: რუსულზედ ქართულზედ და სომხურზედ. ვისაც ამ სასწავლებლებში ყმაწვილების დანიშნვა ჰსურთ, მოიწოდებიან შემოიტანონ დოკუმენტები (დაბადების და ყვავილის აცრის მოწმობა) ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ შუადღემდის. თხოვნის ქაღალდები საჭირო არ არის, ამისათვის არის დამზადებული უპრავაში ბლანკები. (4—4)

---

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა** უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა **ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან.** ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—25)

---

## ახლად მიღებული

დიდ ძალი რიცხვი თოფებისა, რევოლვერებისა, სასროლებისა, პირველ მოკრეფი. ჩაისა, ბაკლებისა და სხვ. თოფები ჩოკ ბორ (*chôke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ 120 მან. ბულ-დოგის რევოლვერები 11 მან. 700 კრავატები 5 მანეთიდამ 40 მა-მდის. აქვე ისყიდება პარუსინა ნახევარ ფასად და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.** (12—12)

---

**ვექილი სასამართლო საქმეებში**

## პ. მ. ლეზედინსკი

გადავიდა ორლოვსკის ქალის ს. ხ-ლებში, ინტენდანსტვოს გვერდით. (5—5)

---

## ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
| --- | --- |
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—28)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერ ბი 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდის. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ჯაშრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვილების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—92)

---

## ახლად მიღებულია

ინგლისის მაღაზიაშია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პარუსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—13)

---

# ქუთაისში

დამეკარგა ჩუქურთმის ხელობის (**рѣзчичье**) ნახატები, რომელიც თუ არ მეჩუქურთმესათვის სხვისთვის სრულიად გამოუდეგარია. მნახველს ვთხოვ წარადგინოს ზერარდის წიგნის მალაზიაში, რითაც დიდად დამავალებს.

(3—3) იოსებ დავითაშვილი.

---

ზრიქუროვის წიგნის მალაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნესიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.


---


**ამა წლის პირველ სეკტემბრიდგან**

გამოიცემის ქ. ქუთაისში

**თავ. დიმ. ელ. დადიანის რედაქტორობით**

ყოველ-კვირის საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი სახელად

# „შ რ ო მ ა“

გაზეთის პროგრამმა:

I სტატიები თანამედროვე კითხვებზედ II ტელეგრამმები. III ადგილობრივი ამბები და შენიშვნები. IV ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები. V ქრონიკა ადგილობრივის თვით-მმართველობისა. VI შინაგანი და გარეგანი წერილები. VII საპოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი. VIII კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურაზედ. IX ფელეტონი. მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა და სხვა შენიშნვები. X ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთა მხარისა, XI სამსაჯულო ცნობები და შენიშნვები. XII ცნობათ-ფურცელი და განცხადებანი.—

გაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუალის საგაზეთო ქაღალდის ფურცელზედ, ხანდის-ხან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლით—შვიდი მანეთი, ნ. ხევარის წლით—ოთხი მანეთი, სამის თვით—ორი მანეთი და ხუთი შაური და ამ წლის პირველ სეკტემბრიდგან მომავალის 1882 წლის პირველ იანვრამდი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემეცების ქუჩაზედ, კნეინა მაჭუტაძის სახლში, 2) პ. ზ. წულუკიძის სტამბაში, თფილისის ქუჩაზედ, ერიქოვის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მალაზიაში, გიმნაზიისა და სათავადო ქუჩის კუთხეში.—

ქ. თფილისში; ბ. შაეროდოვის გაზეთთა სააგენტოში.

ამ ქალაქთ გარეშე მცხოვრებნი თავიანთის მოთხოვნილებით პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

გამომცემლები: თავ. დ. ე. დადიანი და დ. ა. ნაზაროვი.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Августа 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი